შპს „ვარციხე 2005“

ტექნიკური დავალება

შპს „ვარციხე 2005“-ის კუთვნილ ჰესი I-ის ტერიტორიაზე მორიგე პერსონალის გასახდელის შენობის მოწყობა

1. ზოგადი დახასიათება

შპს „ვარციხე 2005“-ის კუთვნილ ჰესი 1-ში მოსამსახურე პერსონალისთის (მორიგეები, დღის პერსონალი) სამანქანო შენობის შიგნით გამოყოფილი არის სივრცე, სადაც მოწყობილი არის როგორც გასახდელი, ასევე სასადილო ოთახი.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, საწარმოში შრომის უსაფრთხოების ორგანოების ინსპექტირების შედეგად შპს "ვარციხე 2005"-ს დაევალა საწარმოს პერსონალისთვის ცალკე შენობის მოწყობა-აშენება, რომელშიც უნდა მოეწყოს ცალკე ოთახი - გასახდელი და ცალკე სასადილო ოთახი და გათვალისწინებული იქნება შრომის უსაფრთხოების წესების დაცვა,

გათვალისწინებული გვაქვს ახალი შენობის აგება ჰესი 1-ის ტერიტორიაზე საგენერატორო შენობის მიმდებარედ (შენობის უკანა მხარეს).

2. სამუშაოს ადგილმდებარეობა

დასავლეთ საქართველო, იმერეთის რეგიონში წყალტუბოსა და სამტრედიის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე განლაგებული ოპერირებადი ვარციხე ჰესების კასკადი:

ჰესი 1 - წყალტუბოს რაიონი, სოფელი გეგუთი, საკ კოდი 29.14.33.068.

– **3. სამუშაოს მოკლე აღწერა**

შესასრულებელი სამუშაო წარმოადგენს ახალი შენობის მოწყობას თბოიზოლირებული (ე.წ. „სენდვიჩ პანელი“) მასალის გამოყენებით, რომელიც შემდგარი იქნება შემდეგი სივრცეებიდან (ოთახებიდან): სივრცე 1 - შესასვლელი, სივრცე 2 - გასახდელი ოთახი, სივრცე 3 - სასადილო ოთახი. შენობის საერთო ფართი 36 $მ^2$ (6,0*6,0 მ)

შემსრულებელი შეასრულებს შემდეგ სამუშაოს:

- სენდვიჩ პანელებიდან შენობის აწყობა (თანდართული გეგმის შესაბამისად) და მისი მონტაჟი საძირკველზე.

დამკვეთი შეასრულებს შემდეგ სამუშაოებს:

- ბეტონის არმირებული საძირკვლის მომზადება, ზომით 7,0*7,0*0,4 მ;
- კიბის საფეხურების მონტაჟი;
- შენობის წყალმომარაგები მოწყობა;
- შენობის საკანალიზაციო სისტემის მოწყობა.

შენიშვნა: ტექნიკურ დავალებას თან ერთვის მოსაწყობი შენობის გეგმა *(დანართი 1)*, რომლის მიხედვითაც ტენდერში მონაწილე პრეტენდეტმა უნდა წარმოადგინოს მოსაწყობი შენობის და სამონტაჟო სამუშაოების ღირებულება.

4. დამატებითი მოთხოვნები

- მსგავსი სამუშაოების წარმოების გამოცდილება;
- წარმოდგენა იმ პროექტების, რომელიც ჩატარებულია საქართველოში;

შენიშვნა: სამუშაოების შესრულება დაგეგმილია 2024 წლის I-II კვარტალში.

შპს „ვარციხე 2005“-ის ადმინისტრაცია